



საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების  
ეროვნული ცენტრის დირექტორის  
ბრძანება № 476

06 08 2014წ.

ქ. თბილისი

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2013 წლის 24 აგვისტოს №266 ბრძანებით დამტკიცებული პოლიგრაფიული მრეწველობის ტექნიკოსის პროფესიულ სტანდარტში ცვლილების შეტანის თაობაზე

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) შემოვიდა ა(ა)იპ - საქართველოს პოლიგრაფისტთა ასოციაციისა და სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პოლიგრაფიისა და მსუბუქი მრეწველობის დეპარტამენტის წერილები პოლიგრაფიული მრეწველობის ტექნიკოსის პროფესიულ სტანდარტში ცვლილების, კერძოდ, პროფესიული განათლების მეხუთე საფეხურის დამატების თაობაზე, თანდართული პროფესიული სტანდარტის პროექტით.

პროფესიული სტანდარტის პროექტი განთავსდა ცენტრის ვებგვერდზე და დაინტერესებულ პირებს მიეცათ შენიშვნებისა და მოსაზრებების წარმოდგენის შესაძლებლობა. პროფესიული სტანდარტის პროექტს მოჰყვა პოზიტიური გამოხმაურება.

სხდომაზე, რომელშიც მონაწილეობდნენ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების წარმომადგენლები, დამსაქმებლები და დარგის სპეციალისტები, მოწონებულ იქნა პოლიგრაფიული მრეწველობის ტექნიკოსის პროფესიული სტანდარტის პროექტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამები: სამსახურის უფროსის 2014 წლის 30 ივლისის №550286 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20<sup>2</sup> მუხლის მე-2 პუნქტის, მე-40 მუხლის მე-16 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის -

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-5 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,


**ვბრძანებ:**

1. შევიდეს ცვლილება „პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2013 წლის 24 აგვისტოს №266 ბრძანების პირველი პუნქტის „ჰ18“ ქვეპუნქტით დამტკიცებულ პროფესიულ სტანდარტში და პოლიგრაფიული მრეწველობის ტექნიკოსის პროფესიული სტანდარტი ჩამოყალიბდეს დანართის შესაბამისად.

2. დაევალოს ცენტრის ადმინისტრაციას (სამსახური) ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობისა და ცენტრის ვებგვერდზე განთავსების უზრუნველყოფა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6 )

დირექტორი



ელენე ჯიბლაძე

პოლიგრაფიული მრეწველობის ტექნიკოსი 040951

პროფესიული სტანდარტი

I. სფეროს აღწერა

პოლიგრაფიული მრეწველობის ტექნიკოსის პროფესიული კვალიფიკაცია განეკუთვნება სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიის დარგს და მოიცავს:

- ა) ჟურნალ-გაზეთების წარმოებას ( ჟურნალი, გაზეთი, ალმანახი, ბლანკები);
- ბ) წიგნის წარმოებას ( წიგნი, ბროშურა, ალბომი, კატალოგი);
- გ) სარეკლამო პროდუქციის წარმოებას (ფლაერი, ბუკლეტი, ტრიპლეტი, სტიკერი, პოსტერი);
- დ) სამრეწველო პროდუქციის წარმოებას (ეტიკეტი, შესაფუთი მასალა);
- ე) სპეციალური ნაბეჭდი პროდუქციის წარმოებას ( ფული, მარკა, აქციზური მარკა, ჩეკი).

II. დასაქმების სფერო

პოლიგრაფიული მრეწველობის ტექნიკოსოს დასაქმების სფეროებია: სტამბები, გამომცემლობები, ჟურნალ-გაზეთების რედაქციები, საპროექტო, სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებები, რომლებიც გამოსცემენ ნაბეჭდი პროდუქციის ნაირსახეობებს.

III. დამატებითი მოთხოვნა

- მესამე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება;
- მეოთხე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მესამე საფეხურის კვალიფიკაციის ქონა;
- მეხუთე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის ქონა.

IV. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

პოლიგრაფიული მრეწველობის ტექნიკოსის პროფესიული განათლება არის სამსაფეხურიანი (III, IV, V). თითოეულ საფეხურისთვის შემუშავებულია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა შესაბამისი პროფესიული დიპლომი.

პოლიგრაფიული მრეწველობის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 60 კრედიტს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საერთო დატვირთვა მოიცავს თეორიის და პრაქტიკის კომპონენტს. პრაქტიკის კომპონენტი არის საერთო დატვირთვის არანაკლებ 40%. კურსდამთავრებულს ენიჭება პოლიგრაფიული მრეწველობის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა შესაბამისი პროფესიული დიპლომი.

პოლიგრაფიული მრეწველობის ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 60 კრედიტს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საერთო დატვირთვა მოიცავს თეორიის და პრაქტიკის კომპონენტს. პრაქტიკის კომპონენტი არის საერთო დატვირთვის არანაკლებ 40%. კურსდამთავრებულს ენიჭება პოლიგრაფიული მრეწველობის ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა შესაბამისი პროფესიული დიპლომი.

პოლიგრაფიული მრეწველობის ტექნიკოსის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 60 კრედიტს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საერთო დატვირთვა მოიცავს თეორიის და პრაქტიკის კომპონენტს. პრაქტიკის კომპონენტი არის საერთო დატვირთვის არანაკლებ 40%. კურსდამთავრებულს ენიჭება პოლიგრაფიული მრეწველობის ტექნიკოსის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა შესაბამისი პროფესიული დიპლომი.

**პოლიგრაფიული მრეწველობის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის აღმწერი**

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა. აცნობიერებს გართულელებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.</p>	<p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ბეჭდამდელი, ბეჭდვითი და ბეჭდვის შემდგომი სამუშაოების ჩატარების დროს შრომის, მათ შორის ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ნორმები და წესები;</li> <li>• პოლიგრაფიული ნაწარმის დამზადების ტექნოლოგიური ციკლის სხვადასხვა ეტაპებზე სამუშაო ადგილის ორგანიზაციის წესი;</li> <li>• პოლიგრაფიაში გამოყენებული მასალების: ქაღალდის, მუყაოს, საბეჭდი საღებავების, პიგმენტების, მღებარების, შემაკავშირებლების, სიკატივების, ინტენსიფიკატორების, საბეჭდი ფორმების, საამკინძაო და ყდის მასალების, წებოების და</li> </ul>
------------------------------	--	---

		<p>საღებავების ლილვაკების მასალების კლასიფიკაცია, თვისებები;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ორიგინალების კვლავაღწარმოების ტექნოლოგია;</li> <li>• მაღალი, ოფსეტური და ღრმა ბეჭდვის ტექნოლოგიები და მათი თავისებურებანი;</li> <li>• ბეჭვამდელი, ბეჭდვითი და ბეჭდვის შემდგომი პროცესების ტექნოლოგია;</li> <li>• სხვადასხვა პოლიგრაფიული პროდუქციის წარმოების სრული ტექნოლოგიური ციკლი და ამ ციკლის შესაბამისი ტექნოლოგიური რუქის კითხვისა და შედგენის წესი;</li> </ul> <p>იგნობს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• პოლიგრაფიის განვითარების ისტორიას;</li> <li>• პოლიგრაფიული პროდუქციის სახეებს;</li> <li>• „დიდო“ - სპეციალური ზომა-წონის პოლიგრაფიულ საერთაშორისო სისტემას;</li> <li>• საბროშურე-საამკინძაო საამქრო და საამკინძაო პროცესებს;</li> <li>• სხვადასხვა სახის მანქანებს (საბეჭდი, საჭრელი, საკერი, თერმოამკინძველი, ყდების მოსავარაყებელი, ხელის წნეხი) და მათი მუშაობის პრინციპებს;</li> <li>• სხვადასხვა უწყისიგრობებისა და წუნის სახეებსა და მათი აღმოფხვრის მეთოდებს;</li> <li>• პოლიგრაფიულ ნორმებს, მოთხოვნებს და მათ შესაბამისად მასალების ხარჯების გაანგარიშების წესებს.</li> </ul>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია გამოიყენოს სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალების შესასრულებლად სხვადასხვა</p>	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• შრომის, მათ შორის ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ნორმების დაცვა პოლიგრაფიული ნაწარმის დამზადებისას;</li> <li>• სამუშაო ადგილის ორგანიზაცია ბეჭვამდელი, ბეჭდვითი და ბეჭდვის შემდგომი სამუშაოების ჩატარების დროს;</li> <li>• პოლიგრაფიაში გამოყენებული მასალების კლასიფიკაციისა და</li> </ul>

	<p>მიდგომა, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები.</p>	<p>თვისებების გამოყენება;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სხვადასხვა სახის პოლიგრაფიული მასალების შერჩევა-გამოყენება;</li> <li>• ბეჭდამდელი, ბეჭდვითი და ბეჭდვის შემდგომი პროცესების განხორციელება;</li> <li>• საბეჭდი ფორმების მომზადება-დამზადება, მონტაჟი და ასლის გადაღება;</li> <li>• ბეჭდვა, სხვადასხვა სახის მანქანების გამოყენება;</li> <li>• სწორება, ჭრა, კინძვა, ბლოკების დაკომპლექტება, ბლოკების რბილ და მაგარ გარეკანში გარეკანში ჩასმა, დაწნეხვა, დაშტრიხვა, ხარისხის კონტროლი და შეფუთვა;</li> <li>• რამდენიმე პოლიგრაფიული მანქანისაგან შემდგარი უბნის მუშაობის წარმართვა;</li> <li>• ბეჭდვითი პროდუქციის წარმოების ყველა ეტაპზე წუნის თავიდან აცილება, ხოლო წუნის აღმოჩენის შემთხვევაში მისი აღმოფხვრა;</li> <li>• სხვადასხვა პოლიგრაფიული პროდუქციის წარმოების სრული ტექნოლოგიური ციკლის შესაბამისი ტექნოლოგიური რუქის კითხვა და შედგენა;</li> <li>• პოლიგრაფიული მასალების ხარჯების გაანგარიშება;</li> <li>• ჩატარებული სამუშაოების შესახებ მარტივი ანგარიშის შედგენა;</li> </ul>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის სანდო წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.</p>	<p>პოლიგრაფიული პროდუქციის სირთულის მიხედვით დამოუკიდებლად ადგენს დასახული ამოცანის შესრულების ოპტიმალურ ვარიანტს. თავად განსაზღვრავს წამოჭრილი პრობლემების სირთულის ხარისხს და შეიმუშავებს მათი გადაჭრის გეგმას და ღონისძიებებს.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე</p>	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია როგორც კოლეგებთან, ასევე, დამკვეთებთან და მონათესავე პროფესიების სპეციალისტებთან (სარეკლამო, სარედაქციო, მსუბუქი</li> </ul>

	განსხვავებულ სიტუაციებში. ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია უცხოური ენის პრაქტიკული გამოყენება	<p>მრეწველობის და სხვ.).</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენება უცხო ენაზე;</li> <li>• საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს კომუნიკაციას უცხო ენაზე.</li> <li>• თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებათა მეშვეობით შეუძლია უახლესი პროფესიული ინფორმაციის მოძიება და გამოყენება;</li> <li>• აქვს კონკრეტულ სიტუაციებთან ადაპტაციისა და და კონფლიქტურ სიტუაციებთან გამკლავების უნარი.</li> </ul>
სწავლის უნარი	შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.	გააჩნია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ პროფესიულ სწავლაზე პასუხისმგებლობა
ღირებულებები	განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.	განსხვავებულ სიტუაციაში მოქმედებს როგორც შრომის, მათ შორის, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების, ასევე, პროფესიული ეთიკური ნორმების დაცვით. კორექტულია კოლეგებთან და დამკვეთებთან ურთიერთობისას. აცნობიერებს უახლესი პოლიგრაფიული ტექნოლოგიების გამოყენებისა და ტექნიკური მიღწევების დანერგვის მნიშვნელობას; აქვს ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის უნარი;

**პოლიგრაფიული მრეწველობის ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის აღმწერი**

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს სფეროს ფაქტორივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს პრობლემის გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს	აცნობიერებს საგამომცემლო-პოლიგრაფიულ საწარმოებში მიმდინარე პროცესების მნიშვნელობას. იცის გამომცემლობებისა და პოლიგრაფიული საწარმოების მუშაობის თავისებურებები და მათი თანამშრომლობის ფორმები; იცის მენეჯმენტის საფუძვლები და სიახლეები პოლიგრაფიულ მრეწველობაში.
ცოდნის	შეუძლია სამუშაოს დაგეგმვის და	რთული ტექნიკური მოთხოვნების მქონე პოლიგრაფიული

პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შესრულების პროცესში გამოიყენოს ინფორმაციის სანდო წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის დასაძლევად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით.	პროდუქციის დამზადებისას შეუძლია დაგეგმოს და უხელმძღვანელოს რამდენიმე სპეციალისტისაგან შემდგარ ბრიგადას ან ჯგუფს და მუშაობისას აღძრული სპეციფიკური პრობლემის დაძლევის შემდეგ, შეაფასოს მიღებული შედეგები პროდუქციის ხარისხის ამაღლების მიზნით. პოლიგრაფიული საწარმოს რენტაბელობის გაზრდისათვის მონაწილეობა მიიღოს ნაკადური ხაზის გამოყენების ორგანიზებასა და დანერგვაში.
დასკვნის უნარი	შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომების შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგების ანალიზი	შეუძლია დამოუკიდებლად მოიძიოს ალტერნატივები პოლიგრაფიული მრეწველობის სხვადასხვა სახის ნაბეჭდი პროდუქციის დამზადების დროს სპეციფიკური პრობლემების აღძვრისას, მონაწილეობა მიიღოს ხელმძღვანელობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებაში და მიღებული შედეგების ანალიზში.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ზეპრი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში, ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება, უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება	შეუძლია პროფესიულ თემებზე საუბარი ცვალებად სიტუაციებში, როგორც დარგის პროფესიონალებთან, ასევე, არაპროფესიონალებთან და დამკვეთთან და მათგან მიღებული ინფორმაციის გადამუშავება; კონკრეტულ შემთხვევებში, რჩევის სახით საჭირო ინფორმაციის მიწოდება; შეუძლია ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება და უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება
სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა, თუმცა, ნაწილობრივ ცვლად ვითარებაში.	გააჩნია პასუხისმგებლობა საკუთარი პროფესიული და კარიერული ზრდის თვალსაზრისით სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრისათვის.
ღირებულებები	პასუხისმგებლობით ეკიდება	აქვს პოლიგრაფიული მრეწველობის ტექნიკოსის საქმიანობისათვის



	<p>პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად.</p>	<p>დამახასიათებელი ღირებულებები: შეუძლია პოლიგრაფიული მრეწველობის შეუფერხებელი მოქმედების ხელშეწყობა ცვალებად სიტუაციებში. იცის თავისი პროფესიული მოვალეობები და პასუხისმგებლობით ეკიდება მათ.</p>
--	---	--

პოლიგრაფიული მრეწველობის ტექნიკოსის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და/ან სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს (საზღვრებს).</p>	<p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• წიგნების, ჟურნალ-გაზეთების, ალბომების, ბილბორდების, და სხვა ნაწარმის სასაქონლო სახის ტირაჟირების ტექნოლოგიური პროცესებისათვის საჭირო ქაღალდების, მასალების და მოწყობილობათა შერჩევა.</li> <li>• ფერდაშლის პროცესებში სხვადასხვა პროგრამების გამოყენება,</li> <li>• რამდენ ფერში უნდა დაიშალოს დედანი,</li> <li>• რასტრის კონფიგურაციისა და ლინიატურის განსაზღვრა, ფერთა კორექცია.</li> <li>• ხარისხის შეფასება,</li> <li>• საწარმოო პროცესების დაგეგმა და უსაფრთხოდ წარმართვა.</li> <li>• ბეჭდვის ტექნოლოგიური პროცესებიდან გამომდინარე, საჭირო ტექნიკური მოწყობილობათა მომსახურების საესპლუატაციო წესების დაცვა.</li> <li>• მენეჯმენტის ძირითადი საკითხები და ერკვევა მეწარმეობის საფუძვლებში.</li> </ul>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად</p>	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• დამკვეთის მოთხოვნის გათვალისწინებით საჭირო შრიფტის შერჩევა.</li> <li>• დედნიდან გამომდინარე ფერთა კორექტირება და ოპტიკური სიმკვრივის დადგენა.</li> </ul>

	გადასაწყვეტად.	<ul style="list-style-type: none"> <li>• ნაბეჭდ პროდუქციასა და სამომხმარებლო ნაწარმზე ( ტანსაცმელი, ფაიფური, კერამიკა და სხვ.) სპეციალური საბეჭდი და საამკინძაო მოწყობილობების მუშა რეჟიმის კონტროლი და სწორი მიმართულებისა და რჩევის მიცემა.</li> </ul>
დასკვნის უნარი	<p>შეუძლია კარგად განსაზღვრული პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება</p>	<p>შეუძლია ბეჭდვით პროცეში შესაძლო პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება, ანალიზი და შესაბამისი დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.</p>
კომუნიკაციის უნარი	<p>შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული</p>	<p>შეუძლია მოკვლევითი მასალების საფუძველზე სათანადო ინფორმაციისა და იდეების გადაცემა თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საშუალებით. პოლიგრაფიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა უცხოურ ენაზე.</p>

	ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა;	
სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში.	შეუძლია პოლიგრაფიასთან და საავტორო ორიგინალების დამუშავებასთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის მოძიება, დამუშავება, ანალიზი და დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღება, უახლესი პოლიგრაფიული მანქანებისა და მოწყობილობების შესწავლა და გამოყენება.
ღირებულებები	აფასებს თავისი და სხვების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებთან და უზიარებს სხვებს.	პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიულ საქმიანობას და კონკრეტულ სიტუაციებში მოქმედებს მედია-პოლიგრაფიულ საქმიანობისათვის დაკავშირებული ეთიკური და საკანონმდებლო ნორმების შესაბამისად, პასუხისმგებლობით ეკიდება გარემოს დაცვის საკითხებს.